



ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№387

2016 წლის 21 აპრილი

ქ.ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკუთრებად მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 107-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 25 ოქტომბრის №233 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. დარეგისტრირდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკუთრებად სოფელ კაბალში მდებარე 9147,9კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად /იხ.დანართი/.

მუხლი 2. დაევალოს ლაგოდების მუნიციპალიტეტის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს“ მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: სანაპიროს ქ. N24.

/საფუძველი:

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 აპრილის №785 მომართვა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 4 თებერვლის №24 მომართვა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 4 თებერვლის №23 მომართვა/

გამგებელი:

*Handwritten signature*



კარლო ჯამბურია